ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 3

ქ. თბილისი 15 თებერვალი 2023 წელი

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 30 წევრი

სხდომას ესწრებოდა 21 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის მაგისტრატურის საფეხურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადმიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის შესახებ
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა ჩაგელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის ,,ადამიანური რესურსების განვითარების გაუმჯობესების გზები საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცებისშესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღის წესრიგის საკითხს, რომლის მომხსენებელი უნდა ყოფილიყო დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი, მისი არყოფნის გამო მომხსენებელი იქნება ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით:

1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

/ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის მაგისტრატურის საფეხურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების შესახებ

/ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა ჩაგელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის ,,ადამიანური რესურსების განვითარების გაუმჯობესების გზები საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცებისშესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

/ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში** მომართვების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებები შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში:

- **საბანკო საქმე 1** - ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება/ჩასწორება. გამოიცა ახალი სახელმძღვანელო ,,თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა" (ავტორები: ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე);
- **საბანკო საქმე 2** - ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება/ჩასწორება. გამოიცა ახალი სახელმძღვანელო ,,თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა" (ავტორები: ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე);
- **ბიზნეს სამართალი** - დაზუსტდეს და შეიცვალოს შუალედური/დასკვნითი გამოცდების ფორმატი, კერძოდ გამოცდები ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერის გამოყენებით კომპიუტერულ რესურს ცენტრში.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: **დამტკიცდეს,** ბიზნესის ადმინისტრირების **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში** , სასწავლო კურსების სილაბუსებში, წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის მაგისტრატურის საფეხურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების შესახებ

/ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

ხარისხის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა 2023 წლის მაგისტრატურის საფეხურის კორექტირებული ანკეტა კითხვარი:

1. ეკონომიკა - 67 ადგილი

2. ბიზნესის ადმინისტრირება - 67 ადგილი

3. ტურიზმი - 10 ადგილი

4. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა- ფინანსები - 18 ადგილი

5. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა- ეკონომიკა - 19 ადგილი

6. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში - 15 ადგილი

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, 2023 წლის მაგისტრატურის კორექტირებული ანკეტა-კითხვარი:

1. ეკონომიკა - 67 ადგილი

2. ბიზნესის ადმინისტრირება - 67 ადგილი

3. ტურიზმი - 10 ადგილი

4. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა- ფინანსები-18 ადგილი

5. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკა - 19 ადგილი

6. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში - 15 ადგილი

მოისმინეს: კურსდამთავრებულებისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს წევრებს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი.მშვენიერაძის წერილი (№2730/29, 07.02.2023), საიდანაც ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№1282/10, 24.01.2023), თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ ნინო ხუხუნაიშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ **ნინო ხუხუნაიშვილი** 1997 წელს ფასიან სწავლებაზე მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/651, 27.08.1997). 1999 წელს განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით გადაყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის III კურსზე ამავე ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობიდან (ფასიანი განყოფილება).

ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობის დასწრებული განყოფილების წინა წლის კუსრდამთავრებულს (2001 წელი) ნინო ხუხუნაიშვილს ეკონომიკისა ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 14 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** *(შენიშვნა: ოქმში არ არის დაფიქსირებული კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული კვალიფიკაცია)*, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 10 იანვრის №4/32 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№08654 (სარეგისტრაციო №01/490) რეგისტრირებულია ნინო ხუხუნაიშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ **„ნინო ხუხუნაიშვილი 1997 წელს ჩაირიცხა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 2002 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ნინო ხუხუნაიშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".

ნინო ხუხუნაიშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№2, 14.06.2002) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/32, 10.01.2003) მინიჭებულ ხარისხთან. დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება მის სახელზე გაცემული დიპლომის შესაბამისად.

პროფესორმა ლ. საბაურმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №2, 14.06.2002) გადაწყვეტილებით ნინო ხუხუნაიშვილისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობის 2001 წლის კურსდამთავრებულ ნინო ხუხუნაიშვილს მინიჭებული ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის"*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით"***. ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№2, 14.06.2002) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. **შესწორდეს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული განყოფილების წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №2, 14.06.2002) გადაწყვეტილება და დასწრებული განყოფილების წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობის კურსდამთავრებულ ნინო ხუხუნაიშვილს მინიჭებული ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“.***
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№2, 14.06.2002) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადმიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების 2022 კალენდარული წლის ანგარიში.

/ დეკანის მოადგილე, ასოც. პროფესორი მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 2022 წლის თვითშეფასების ანგარიში (ანგარიში დაგზავნილი იყო ფაკულტეტის საბჭოს წევრებისთვის). მან აღნიშნა, რომ მიუხედავად რთული წლისა, ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამოირჩეოდა შესაბამისი ნაყოფიერებით სასწავლო, სამეცნიერო და სხვა დამატებითი საქმიანობით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ. ღაღანიძემ,

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადმიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების 2022 კალენდარული წლის ანგარიში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ.ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

1. *ლაშა კელიხაშვილი - „საქართველოს მთავრობის ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე"*

მეცნიერ-ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია*

2. *თეონა თამარაშვილი - „სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენება და პერსპექტივები საქართველოს აგრობიზნესში"*

მეცნიერ- ხელმძღვანელი: *ასოცირებული პროფესორი მაია სეთური*

3. თეა ჯანიაშვილი - „მარკეტინგის გამოყენების ასპექტები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი

4. ნათია წაქაძე - „ციფრული მარკეტინგის გავლენა საცალო ვაჭრობის მომხმარებელთა ქცევაზე"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ურუტაძე

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს : დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემა და მეცნიერ-ხელმძღვანელი :

1. ლაშა კელიხაშვილი - „საქართველოს მთავრობის ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

2. თეონა თამარაშვილი - „სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენება და პერსპექტივები საქართველოს აგრობიზნესში"

   მეცნიერ- ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია სეთური

3. თეა ჯანიაშვილი - „მარკეტინგის გამოყენების ასპექტები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი

4. ნათია წაქაძე - „ციფრული მარკეტინგის გავლენა საცალო ვაჭრობის მომხმარებელთა ქცევაზე"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ურუტაძე

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა ჩაგელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის ,,ადამიანური რესურსების განვითარების გაუმჯობესების გზები საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცებისშესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ.ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის

დოქტორანტ ანა ჩაგელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ადამიანური რესურსების განვითარების გაუმჯობესების გზები საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი), შემფასებლები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

შემფასებლები:

პროფესორი დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესორი ქეთევან გოლეთიანი - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

კომისიის წევრები:

1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
2. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
3. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
4. ასოცირებული პროფესორი მაია გიორგობიანი
5. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
6. ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში
7. ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე
9. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
10. ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე
11. ასოცირებული პროფესორი ნანული ოქრუაშვილი
12. ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
13. ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი
14. ასისტენტ პროფესორი დეა ფირცხალაიშვილი
15. ასოცირებული პროფესორი თამარ ღამბაშიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
16. ასოცირებული პროფესორი ბადრი გეჩბაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა ჩაგელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ადამიანური რესურსების განვითარების გაუმჯობესების გზები საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი), შემფასებლები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

შემფასებლები:

პროფესორი დალი სეხნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესორი ქეთევან გოლეთიანი - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

კომისიის წევრები:

1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
2. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
3. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
4. ასოცირებული პროფესორი მაია გიორგობიანი
5. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
6. ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში
7. ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე
9. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
10. ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე
11. ასოცირებული პროფესორი ნანული ოქრუაშვილი
12. ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
13. ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი
14. ასისტენტ პროფესორი დეა ფირცხალაიშვილი
15. ასოცირებული პროფესორი თამარ ღამბაშიძე (**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**)

16. ასოცირებული პროფესორი ბადრი გეჩბაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გ.ღაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი, როდესაც საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნება საკითხი დოქტორანტების სადისერტაციო თემის და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ, სავალდებულოა დოქტორანტის და მეცნიერ -ხელმძღვანელის დასწრება საბჭოს სხდომაზე.

აზრი გამოთქვეს: **პროფესორმა ე.მექვაბიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა უ.სამადაშვილმა**

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დოქტორანტების სადისერტაციო თემის და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების დროს საბჭოს სხდომაზე , სავალდებულოა დოქტორანტის და მეცნიერ - ხელმძღვანელის დასწრება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი,ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე